



WORLD ASSOCIATION
FOR POSITIVE AND TRANSCULTURAL
PSYCHOTHERAPY

WAPP-ის ეთიკური პრინციპები და რეკომენდაციები



პასუხისმგებლობის უარყოფა:

ამ დოკუმენტის ინგლისური ვერსია არის **ორიგინალური და იურიდიულად სავალდებულო ტექსტი**. ნებისმიერი იურიდიული ან ოფიციალური მითითებისთვის, საჭიროა მხოლოდ **ინგლისურ ვერსიაზე დაყრდნობა**. ეს თარგმანი მოწოდებულია მხოლოდ ზოგადი გასაგებად და არ წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს.



ეთიკური პრინციპების შესავალი და ეთიკური რეკომენდაციები

პოზიტიური და ტრანსკულტურალური ფსიქოთერაპიის მსოფლიო ასოციაციის (WAPP) ეთიკური პრინციპები და ეთიკური რეკომენდაციები ემსახურება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში პასუხისმგებლობის მქონე, პროფესიონალურ და თანაგრძნობით აღსავსე დახმარების უზრუნველყოფის ფუნდამენტურ ჩარჩოს.

პოზიტიური და ტრანსკულტურალური ფსიქოთერაპიის მსოფლიო ასოციაციის (WAPP) ეთიკური პრინციპებისა და ეთიკური რეკომენდაციების ძირითადი აქცენტი კულტურული კომპეტენტურობაა, რომელიც პრაქტიკოსი სპეციალისტებისგან კლიენტების მრავალფეროვან კულტურულ წარმომავლობის ცოდნასა და პატივისცემასთან ერთად, განსხვავებული კულტურული ხედვის საკითხებთან დაკავშირებულ თვითგანათლებასაც მოითხოვს.

აღნიშნული პრინციპების დაცვით, პოზიტიური ფსიქოთერაპიის პრაქტიკოსები იღებენ ვალდებულებას შეინარჩუნონ წესიერების, პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის უმაღლესი სტანდარტები. რეკომენდაციები არა მხოლოდ კლიენტებისა და პაციენტების უფლებებს იცავს, არამედ ხელს უწყობს ნდობასა და ანგარიშვალდებულებას პროფესიულ ურთიერთობაში, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ პოზიტიური და ტრანსკულტურალური ფსიქოთერაპიის პრაქტიკა (პფთ ნ.პეზეშკიანის მიხ. 1977 წლიდან) იყოს ეთიკური, ეფექტური და შესაბამებოდეს იმ ადამიანთა საუკეთესო ინტერესებს, ვისაც ვემსახურებით.

WAPP-ის აღმასრულებელი საბჭო, ეთიკური საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფის წევრების მიმართ გამოხატავს მადლიერებას ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის პროექტის მომზადებისთვის, რომელიც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა,

აღნიშნული რეკომენდაციები WAPP-ის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული იქნა 2024 წლის 14 ოქტომბერს და WAPP-ის გენერალური ასამბლეის ყველა წევრის მიერ დამტკიცებულ იქნა 2025 წლის 12 თებერვალს.



ეთიკური პრინციპები

აღნიშნული ეთიკური პრინციპები სავალდებულოა WAPP/EFCCP-ის წევრი ორგანიზაციებისთვის. ის ასევე ეხება ფსიქოთერაპევტებს, კონსულტანტებს, ფსიქოლოგ-კონსულტანტებს, ტრენერებს, სტაჟიორებს, სუპერვიზორებს, ტრენინგის ორგანიზატორებსა და იმ სპეციალისტებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში პოზიტიური ფსიქოთერაპიის მიმართულებით მუშაობენ.

I. შესავალი

პოზიტიური და ტრანსკულტურალური ფსიქოთერაპიის მეთოდი მიეკუთვნება ჰუმანისტურ, ტრანსკულტურალურ და ფსიქოდინამიკურ ფსიქოთერაპიულ მეთოდებს. კონფლიქტებსა და უნარებზე ორიენტირებული ეს მეთოდი პროფესორმა ნოსრატ პეზეშკიანმა 1968 წელს დაამკვიდრა გერმანიაში. მის საფუძველში ჩადებულია ვრცელი კროს-კულტურული კვლევები, რომლებიც მსოფლიოს 20-ზე მეტ განსხვავებულ კულტურაზე დაკვირვებით ჩატარდა.

II. პრინციპები

1. იმედის პრინციპი

პოზიტიური და ტრანსკულტურალური ფსიქოთერაპიის (პფთ) რწმენით, ყოველი ადამიანი თავისი ბუნებით კეთილი და კარგია. ადამიანი ჰგავს ძვირფასი ქვებით სავსე საბადოს და არა სუფთა ფურცელსა ან ცარიელ ჭურჭელს. აღნიშნული პოტენციალის აქტუალიზება დამოკიდებულია გარკვეულ ფაქტორებზე, რომელიც თავისი ბუნებით შემზღუდველი ამ დამხმარე ხასიათის მატარებელია. არსებობს სიმპტომის სიმბოლური პოზიტიური ფუნქცია, რომელიც როგორც თერაპევტის, ისე პაციენტის მიერ აღიარებულ უნდა იქნეს, რაც ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი სიტუაცია, მიუხედავად სირთულისა, შესაძლოა იყოს გაგებული და უკეთესობისკენ შეცვლილი.

2. კონსულტირების პრინციპი

პფთ-ს ხედვით საზგასმულია, რომ ფსიქოთერაპიული პროცესი უპირველეს ყოვლისა ფოკუსირებულია თერაპევტისა და კლიენტის ურთიერთქმედებაზე. ამ ურთიერთქმედების საკვანძო ელემენტები მოიცავს აზრთა გაცვლა-გამოცვლას, განსხვავებათა აღმოფხვრას, თანამშრომლობის ხელშეწყობასა და ფსიქოთერაპიულ (საგანმანათლებლო) პროცესში გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღებას. აღნიშნულ მიდგომაში უმთავრესია კლიენტის ავტონომიისა და თვითგამორკვევის უფლების უზრუნველყოფა. ფსიქოთერაპიის გამოყენებისა და შეზღუდვების შესაძლებლობათა გაგება და ასევე პოზიტიური ფსიქოთერაპიის სათანადოდ გამოყენება უზრუნველყოფს იმას, რომ ზიანი არ იქნება მიყენებული. გარდა ამისა, პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნების მნიშვნელოვან რესურსად ითვლება კოლეგებთან და მასწავლებლებთან კონსულტაცია, როგორც პრაქტიკის განუყოფელი ნაწილი.

3. თვითდახმარების პრინციპი

ფსიქოთერაპიული (საგანმანათლებლო) პროცესი მიზნად ისახავს გარე რესურსებზე (მაგ. თერაპევტის) დამოკიდებულებიდან პიროვნების ან ოჯახის შიდა რესურსების განვითარებაზე გადასვლას. ფსიქოთერაპიული ურთიერთობები არა მზა ცოდნის წყარო, არამედ სივრცეა, რომელიც ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარების პირობებს ქმნის. თერაპიულ ურთიერთობებში კლიენტი მიჯაჭვულობისა და დიფერენციაციის მეშვეობით ავტონომიისკენ მოძრაობს.

პოზიტიური და ტრანსკულტურალური ფსიქოთერაპია კლიენტებს მოუწოდებს გათავისუფლდნენ საკუთარი პასიური როლისგან და აქტიურად ჩაერთონ "თერაპიულ როლში", რომელშიც ისინი, ოჯახისა და საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით თერაპევტთან აქტიულად ითანამშრომლობენ.



4. პიროვნების უნიკალურობის პრინციპი

თერაპევტსა და კლიენტს შორის თერაპიული ალიანსი წარმოადგენს ორი განსხვავებული პიროვნების შეხვედრას, რომელთა შორისაც თითოეულს უნიკალური და მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება გააჩნია. დაკვირვებადი სიმპტომების მიღმა, ჩვენი მიზანია ვიპოვოთ ინდივიდი, რომელიც ამ უნიკალურ გამოცდილებას ფლობს. ფსიქოთერაპიულ ურთიერთობაში, ფსიქოთერაპევტის მსგავსად, კლიენტის სპეციფიკური მოთხოვნების მოქნილად დაკმაყოფილების საკითხისადმი, ყურადღებით უნდა იყოს გამსჭვალული თავად თერაპიული პროცესიც (საგანმანათლებლო ასპექტის ჩათვლით). აუცილებელია, რომ კლიენტისათვის შეთავაზებული მკურნალობა იყოს არა მხოლოდ მომგებიანი, არამედ ხარისხის მაღალი სტანდარტის მატარებელიც. სრული თერაპიული მოგზაურობის განმავლობაში ფსიქოთერაპევტი ინარჩუნებს ღრმა პატივისცემას როგორც კლიენტის პიროვნულ ფასეულობებისა და მთლიანობის მიმართ, ასევე მისი ოჯახის მიმართაც.

პოზიტიური ფსიქოთერაპიის ფუძემდებლური ფილოსოფია მდგომარეობს იმაში, ჩვენს პროექტებში მონაწილე ყველა პიროვნების (აქტიურისა თუ პასიურის) მიმართ განწყობილი ვიყოთ მაქსიმალური პატივისცემით.

5. წონასწორობის პრინციპი

პოზიტიური ფსიქოთერაპია ცხოვრებასა და ადამიანის განვითარებას განიხილავს, როგორც ბუნებრივი დინამიური წონასწორობისადმი სწრაფვას. პფთ-ს თერაპიული მიზანია დაეხმაროს კლიენტს საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერებასა და ცხოვრებისეული ბალანსის მიღწევაში, ცალკეული ადამიანების, ოჯახებისა და საზოგადოების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი სიჯანსაღის ხელშეწყობის გზით. პოზიტიურმა ფსიქოთერაპევტმა, თერაპიულ თანაგრძნობასა და სათანადო ემოციურ დისტანცირებას შორის დელიკატური ბალანსის პოვნით, მტკიცე და პროფესიონალური თერაპიული ურთიერთობა უნდა დაამყაროს კლიენტთან, და ამასთან ერთად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ჯანსაღი ურთიერთობების მისაბამ მაგალითადაც იქცეს.

6. ტრანსკულტურალური მგრძობელობის პრინციპი

ტრანსკულტურალური მგრძობელობა უმთავრესი პროფესიული კომპეტენციაა. ჩვენ ვაღიარებთ და ვითვალისწინებთ კულტურულ განზომილებას, როგორც გავლენიან ელემენტს, რომელიც გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე, პიროვნების ევოლუციაზე, აშლილობების გაჩენასა და კონფლიქტების დინამიკაზე. გარდა ამისა, აღნიშნული კულტურული განზომილება თერაპევტსა და კლიენტს შორის არსებულ თერაპიულ ალიანსზე საკუთარ კვალს ტოვებს. ჩვენ ვთვლით, რომ კონფლიქტები არა მხოლოდ პიროვნებათა შეჯახებაა, არამედ ისინი განიხილება, როგორც კულტურულ ფასეულობათა შეჯახება.

პოზიტიური და ტრანსკულტურალური ფსიქოთერაპია საკუთარ თავში აერთიანებს ელემენტებს სხვადასხვა ფსიქოთერაპიული მეთოდებიდან, რაც ხელი უწყობს კლიენტის მკურნალობის მოქნილობას, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა მიდგომებთან ეფექტურად თანამშრომლობის საფუძველი იქმნება. პოზიტიური და ტრანსკულტურალური ფსიქოთერაპიის მსოფლიო ასოციაცია, მისი საერთაშორისო ცენტრები და მისი ევროპული ქვესექცია - პოზიტიური ფსიქოთერაპიის ცენტრების ევროპული ფედერაცია და მისი წევრები უზრუნველყოფენ მომსახურებას რასის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, სოციალური კლასის, ფიზიკური შესაძლებლობებისა ან უნარების, რელიგიური ან ეთიკური ღირებულებების სისტემის, ეროვნული წარმომადგენლისა და პოლიტიკური მრწამსის შეუზღუდავად. პოზიტიური და ტრანსკულტურალური ფსიქოთერაპიის მსოფლიო ასოციაციისა და პოზიტიური ფსიქოთერაპიის ცენტრების ევროპული ფედერაციის ვალდებულებაა პოზიტიური და ტრანსკულტურალური ფსიქოთერაპიის თეორიის, მეთოდისა და პრაქტიკის ხელშეწყობა და მისი გამოყენება ტრანსკულტურალური და ურთიერთდისციპლინარული თვალსაზრისით.



7. სიმარტივის და უნივერსალურობის პრინციპი

ჩვენ ვცდილობთ გამოვიყენოთ ისეთი ტერმინოლოგია და მეთოდოლოგიური ცნებები, რომელიც ყველასთვის გასაგებია და ყოველდღიურ, პრაქტიკულ სიტუაციებში ადვილად გამოიყენება, რაც გვეხმარება იმაში, რომ მოთხოვნები, კონფლიქტები და ურთიერთობების დინამიკა ეფექტურად გავიგოთ.

8. განვითარებაზე ორიენტირების პრინციპი

ფსიქოთერაპიულ პროცესსა და ურთიერთქმედების ყველა სხვა ფორმაში ჩვენ ვიცავთ დროის პერსპექტივის შენარჩუნების პრინციპს, ხაზს ვუსვამთ წარსულისა და აწმყოს ცნობიერების მნიშვნელობას და ვადიარებთ ჩვენს პასუხისმგებლობას მომავლის შესაძლებლობების განვითარებაზე.



ეთიკური რეკომენდაციები

პრეამბულა

წინამდებარე ეთიკური რეკომენდაციები სავალდებულოა WAPP-ის ინდივიდუალური და ინსტიტუციური წევრებისთვის. ის ასევე ვრცელდება ფსიქოთერაპევტებზე, კონსულტანტებზე, ფსიქოლოგ-კონსულტანტებზე, ტრენერებზე, სტაჟიორებზე, სუპერვიზორებზე, სუპერვიზირებულეებზე, თვითგახსნის ლიდერებზე, ტრენინგის ორგანიზატორებსა და სპეციალისტებზე, რომლებიც მთელ მსოფლიოში პროფესიული ფსიქოთერაპიის მიმართულებით მუშაობენ. მოცემულ დოკუმენტში ისინი მოხსენიებულნი არიან როგორც "პფთ-ს პრაქტიკოსები". იმ შემთხვევაში, თუ პფთ-ის პრაქტიკოსებისა თუ მათი პრაქტიკის ქვეყანაში არსებობს ისეთი ნორმატიული აქტები ან კანონები, რომლებიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ეთიკურ რეკომენდაციებს, მაშინ პრიორიტეტი ენიჭება ეროვნულ რეგულაციებს. თუმცა, WAPP-ის თითოეულმა წევრმა ეს რეკომენდაციები შეძლებისდაგვარად უნდა დაიცვას.

აღნიშნული ეთიკური რეკომენდაციები ხელს უწყობს უნივერსალური ეთიკური პროფესიული სტანდარტების ჩამოყალიბებას, ეთიკური თვითშემეცნების განვითარებასა და პფთ-ს პრაქტიკოსების ეთიკური კომპეტენციის დონის ამაღლებას.

პფთ-ს პრაქტიკოსები არ განახორციელებენ დისკრიმინაციას ასაკის, ავადმყოფობის ან ინვალიდობის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, გენდერული იდენტობის, ეროვნების, პოლიტიკური კუთვნილების, რასის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური სტატუსის ან სხვა ფაქტორების მიხედვით.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ WAPP წარმოადგენს წევრებს მთელი მსოფლიოდან და რეკომენდაციას ვიძლევიტ, რომ ეროვნულმა ორგანიზაციებმა და ცენტრებმა თავიანთი ეთიკის კოდექსი დააფუძნონ WAPP-ის ეთიკურ რეკომენდაციებსა და პრინციპების გათვალისწინებით, და ასევე ეროვნულ ან ადგილობრივ კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

ამ დოკუმენტში ტერმინი „კლიენტები“ ნიშნავს „პაციენტებს“, თუ ეს გამოიყენება პფთ-ის პრაქტიკოსი სპეციალისტების საცხოვრებელ ქვეყანაში ეროვნული რეგულაციების შესაბამისად.

შინაარსი

- ნაწილი I 7
 - 1. პასუხისმგებლობა კლიენტების წინაშე 7
 - 2. შეფასების მეთოდები 8
 - 3. თერაპიული ურთიერთობები 8
 - 4. ურთიერთობა სხვა სპეციალისტებთან 10
 - 5. ონლაინ მუშაობა (ფსიქოთერაპია, სწავლება, სუპერვიზია, თვითგახსნა, შეფასება, კვლევა) 11
 - 6. სოციალური პასუხისმგებლობა, ინტერნეტით დაკავებულობა და რეკლამა 12
 - 7. პასუხისმგებლობა WAPP-ის მიმართ 11
 - 8. კონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის სწავლება 13
 - 9. კლინიკური და საგანმანათლებლო სუპერვიზიების ეთიკური ასპექტები 15
 - 10. კვლევები და პუბლიკაციები 16
- ნაწილი II 18
 - 11. ეთიკის კომიტეტი 18



ნაწილი I

1. კლიენტების წინაშე პასუხისმგებლობა

ეს ნაწილი განიხილავს პფთ-ს პრაქტიკოსების მიერ მათი კომპეტენციის საზღვრების პატივისცემის აუცილებლობას, კლიენტების კოლეგებთან გაგზავნის წესებს, თერაპიაში ინფორმირებული თანხმობის გამოყენებას, ჩანაწერებისა და დოკუმენტაციის შენახვის წესებსა და პფთ-ს პრაქტიკოსების მიერ კონფიდენციალურობის საზღვრების პატივისცემის აუცილებლობას.

1.1 კომპეტენციის საზღვრები

პფთ-ს პრაქტიკოსები რჩებიან საკუთარი კომპეტენციის საზღვრებში და უზრუნველყოფენ მომსახურებას, რისთვისაც ისინი საკმარისად კვალიფიცირებული, მომზადებული, ლიცენზირებული და გამოცდილი არიან.

1.1.1 კომპეტენციის განვითარება

პფთ-ს პრაქტიკოსები მუდმივად ავითარებენ თავიანთ პროფესიულ კომპეტენციას თერაპიის მიმდინარე მიდგომებისა და თერაპიული მეთოდების ეფექტურობის კვლევის შესახებ განახლების გზით. პფთ-ს პრაქტიკოსები უნდა მონაწილეობდნენ უწყვეტი პროფესიული განვითარების აქტივობებში WAPP-ის სახელმძღვანელოს მიხედვით. (იხილეთ CPD რეკომენდაციები)

1.1.2 პროფესიული შეზღუდვების განცხადება

თუ პფთ-ს პრაქტიკოსების პროფესიული ცოდნა არასაკმარისია, მათ უნდა გაიარონ საჭირო სწავლება და/ან მიმართონ უფრო გამოცდილი კოლეგების დახმარებას, განსაკუთრებით სუპერვიზიის მეშვეობით. მათ ასევე პატივი უნდა სცენ სუპერვიზორების რეკომენდაციებს პროფესიულ შეზღუდვებთან დაკავშირებით.

1.1.3 თვითდახმარება, პრაქტიკოსის ასპექტი

პფთ-ს პრაქტიკოსებმა უნდა შეინარჩუნონ ჯანსაღი ბალანსი

სამუშაოსა და ცხოვრების სხვა ასპექტებს შორის. პფთ-ს პრაქტიკოსები აკონტროლებენ ემოციური, გონებრივი და ფიზიკური გამოფიტვისა და ფსიქიკური ავადმყოფობის ნიშნებს და აღნიშნულ მდგომარეობაში თავს იკავებენ კლიენტებისთვის მომსახურების გაწევისგან, ვინაიდან აცნობიერებენ კლიენტებისთვის ზიანის მიყენების ალბათობას. პფთ-ს პრაქტიკოსებმა უნდა მიმართონ პროფესიონალურ დახმარებას, შეზღუდონ კლიენტთა რაოდენობა ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე დროებით შეწყვიტონ პრაქტიკა. პფთ-ს პრაქტიკოსები ფრთხილ უკუკავშირს აძლევენ იმ კოლეგებს, რომლებმაც შესაძლოა ვერ ამოიგნონ გამოფიტულობის, გადაწვისა და ფსიქიკური დაავადების ნიშნები და ითვალისწინებენ კოლეგების კომენტირებას საკუთარი ემოციური, გონებრივი და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, თუ ეს მათი მუშაობის ხარისხზე უარყოფით გავლენას მოახდენს

1.1.4 ტრანსკულტურალური კომპეტენცია

პფთ-ს პრაქტიკოსები მუდმივად ზრდიან ტრანსკულტურალური მგრძობელობის დონეს იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მოქმედებს თერაპიული პროცესის ყველა მონაწილის კულტურული ღირებულებები ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულებაზე, აშლილობის მექანიზმებსა და თერაპიულ ურთიერთობაზე.

ტრანსკულტურალური კომპეტენცია არის პოზიტიური და ტრანსკულტურალური ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი ძირითადი ღირებულება, ამიტომ პფთ-ს პრაქტიკოსები თავს არიდებენ რაიმე სახის დისკრიმინაციას რასის, ეთნიკური წარმომავლობისა ან ჯგუფის, სქესისა და სექსუალური იდენტობის, ასაკის, პროფესიის, განათლების დონის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, ფიზიკური შესაძლებლობების, ფსიქოლოგიური სტატუსის, კულტურული და პოლიტიკური მრწამსის, რელიგიის, სამედიცინო სტატუსისა და კლიენტის უმცირესობის ჯგუფებისდმი მიკუთვნებულობის გამო.

1.1.5 კლიენტების მიმართვა

იმ შემთხვევებში, როდესაც პფთ-ს პრაქტიკოსების ცოდნა და გამოცდილება კლიენტთან სამუშაოდ არასაკმარისია, პფთ-ს პრაქტიკოსებმა კლიენტი უფრო გამოცდილ კოლეგასთან უნდა გადაამისამართონ. თუ არსებობს საშიშროება, რომ პფთ-ს პრაქტიკოსების პრობლემები ხელს უშლის პროფესიული მოვალეობის სრულფასოვან შესრულებას, მათ უნდა მიმართონ სუპერვიზორის დახმარებას ან მონაწილეობა უნდა მიიღონ ინტერვიუში, რათა განისაზღვროს, მუშაობა შეიზღუდოს, შეჩერდეს თუ შეწყდეს. დასკვნას თან უნდა ახლდეს ახსნა-განმარტება კლიენტისთვის და რამდენიმე სპეციალისტის არჩევანის შეთავაზება. თუ პფთ-ს პრაქტიკოსისა და კლიენტის პირადი ღირებულებები ერთმანეთს არ ემთხვევა, პფთ-ს პრაქტიკოსს რეკომენდაცია ეძლევა კლიენტი არათუ უმაღლ არ გაუშვას, აღიაროს ეს შეზღუდულობა, გაიაროს სუპერვიზია და შემდგომი სწავლება აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

1.2 ინფორმირებული თანხმობა

პფთ-ს პრაქტიკოსებმა ფსიქოლოგიური კონსულტაციის, ფსიქოთერაპიის, სუპერვიზიის, სწავლებისა და კვლევის დასაწყისში კლიენტებისგან უნდა მიიღონ ინფორმირებული თანხმობა.

ინფორმირებული თანხმობა უნდა მოიცავდეს გაწეული მომსახურების აღწერასა და მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ინფორმირებული თანხმობის სავალდებულო ნაწილია განცხადება კონფიდენციალურობის საზღვრების თაობაზე (იხ. ნაწილი 1.4). ონლაინ/სატელეფონო მუშაობის შემთხვევაში, პფთ-ს პრაქტიკოსები ვალდებული არიან კლიენტს მიაწოდონ მაქსიმალური ინფორმაცია აღნიშნულ ფორმატთან დაკავშირებული ყველა შესაძლო შეზღუდვისა და რისკის შესახებ (ინფორმირებული თანხმობა).

1.2.1 მუშაობა კლიენტებთან, რომლებსაც არ შეუძლიათ ინფორმირებული თანხმობის გაცემა (მაგ. სწავლის უნარის დაქვეითება, მძიმე ფსიქიკური დაავადება და ა.შ.)

როდესაც პფთ-ს პრაქტიკოსები მუშაობენ ადამიანებთან, რომლებსაც არ შეუძლიათ ინფორმირებული თანხმობის გაცემა, თანხმობა მიიღება კლიენტის რწმუნებულთან.



1.2.2 ინფორმირებული თანხმობა ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობაში

თუ პფთ-ს პრაქტიკოსები მუშაობენ არასრულწლოვანებთან, თანხმობას ხელს აწერენ მშობლები ან მეურვეები (ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით). ამავდროულად, პფთ-ს პრაქტიკოსებმა უნდა მიიღონ არასრულწლოვნის სიტყვიერი თანხმობა. პირველ შეხვედრაზე, პფთ-ს პრაქტიკოსები ოჯახთან ერთად ასევე განიხილავენ არასრულ-წლოვანთან მუშაობის კონფიდენციალურობის საზღვრებსა და ერთად წყვეტენ რა შეიძლება უთხრან მშობლებსა ან მეურვეებს.

პრაქტიკოსებს მოეთხოვებათ, რომ მშობლის ნებართვის გარეშე, თერაპიაზე თანხმობის ასაკი შეამოწმონ მომსახურების გაწევამდე მოქმედი ეროვნული კანონ-მდებლობის შესაბამისად. ამ საკანონმდებლო სტანდარტებთან შესაბამისობა სავალდებულოა საიმისოდ, რომ თერაპია მოექცეს საკანონმდებლო ჩარჩოებში.

1.3 ჩანაწერები და დოკუმენტაცია

მკაცრად რეკომენდირებულია, რომ პფთ-ს პრაქტიკოსებმა დააფიქსირონ ყოველი სესია, შეინახონ კლიენტთან მუშაობის ჩანაწერები და მიიღონ ზომები კლიენტის ინფორმაციის დასაცავად, როგორც პროფესიული ურთიერთობისას, ისე მის შემდეგ. ჩანაწერები უნდა ინახებოდეს თერაპიის/მკურნალობის დასრულებიდან მინიმუმ 5 წლის განმავლობაში. გთხოვთ, შეამოწმოთ თქვენი ეროვნული კანონმდებლობა ჩანაწერების შენახვასთან დაკავშირებით, ვინაიდან ზოგიერთ ქვეყანას საამისოდ განსაზღვრული აქვს 10 წელი. ჩანაწერები შეიძლება ინახებოდეს წერილობით ან ელექტრონული ფორმით. პფთ-ის პრაქტიკოსები პასუხისმგებელი არიან კლიენტის ინფორმაციის უსაფრთხოებაზე, მათი ქმედუნარობის შემთხვევაშიც კი (იქონიეთ კონფიდენციალური დოკუმენტაციის დამუშავების გეგმა).

1.3.1 კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდება

კლიენტს უფლება აქვს წერილობით მიიღოს ყველა ინფორმაცია თერაპიული პროცესის, სწავლებისა და კვლევის შესახებ. კლიენტს უფლება აქვს მიიღოს

მისი საკლიენტო ჩანაწერის ასლი. პფთ-ს პრაქტიკოსები უზრუნველყოფენ, რომ აღნიშნული ინფორმაცია კლიენტს მიეწოდოს არასაზიანო ფორმით.

1.3.2 ინფორმაციის მესამე პირთათვის გაზიარება

პფთ-ს პრაქტიკოსებს ესაჭიროებათ კლიენტის ნებართვა, როდესაც კლიენტის შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოთხოვნილია მესამე პირების (მედიცინის მუშაკების, პოლიციის, მოსამართლეთა, სადაზღვევო კომპანიების, ადვოკატების, მშობლების, ოჯახის წევრების, საქმეში მონაწილე სხვა პროფესიონალების და ა.შ.) მიერ. პფთ-ს პრაქტიკოსებმა უნდა განიხილონ და შეასრულონ თითოეული ქვეყნის სპეციფიკური სამართლებრივი მოთხოვნები, იმის აღიარებით, რომ კანონები შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციის მიხედვით. აქ სავალდებულოა შესაბამისობა ადგილობრივ საკანონმდებლო რეგულაციებთან.

1.4 კონფიდენციალურობა

კონფიდენციალურობა არის თერაპიული, სუპერვიზიული, სასწავლო და კვლევითი ურთიერთობის ერთ-ერთი საფუძველი. პფთ-ს პრაქტიკოსები ვალდებული არიან ინფორმირებულ თანხმობაში მიუთითონ კონფიდენციალურობის ნორმები და პირობები, რომლითაც ისინი შეიძლება იყოს ბათილად ცნობილი: სიტუაციები, რომლებიც საფრთხეს უქმნის კლიენტის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან სხვა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; ემოციური, ფიზიკური, ეკონომიკური ძალადობა ბავშვებზე, ქმედუნარო და სხვა კატეგორიის დამოკიდებულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებზე; სასამართლოში ჩვენების მიცემის აუცილებლობა მათი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული კანონმდებლობისთვის დამახასიათებელი სხვა ინსტანციების შესაბამისად.

პფთ-ს პრაქტიკოსებმა არ უნდა გაამჟღავნონ კონფიდენციალური, პერსონალური ინფორმაცია თავიანთი კლიენტების შესახებ საკუთარ ნაწერებში, ლექციებში, მედიაში, სოციალურ მედიაში თუ კოლეგებთან კონსულტაციისას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კლიენტის იდენტიფიკაცია. ანონიმურობა არის

პერსონალური მონაცემების შეცვლა ისე, რომ ეს მონაცემები აღარ შეიძლება მიეკუთვნებოდეს კონკრეტულ ან იდენტიფიცირებულ ფიზიკურ პირს. გამონაკლისები აღწერილია შემდეგ თავებში.

1.4.1 ჩაწერის ნებართვა

ფსიქოთერაპიის დროს აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთება ჩვეულებრივ აკრძალულია კონფიდენციალურობის დარღვევისა და კლიენტის ექსპლუატაციის მაღალი რისკის გამო. არჩვეულებრივ ვითარებაში ჩაწერა დაშვებულია კლიენტთან წინასწარი წერილობითი თანხმობით (მაგ. სპეციალისტის მოსამზადებელი სასუპერვიზიო სწავლება, კლიენტის სურვილით სესიის ჩაწერა და ა.შ.).

აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთება სუპერვიზიის, სწავლებისა და კვლევის დროს უნდა იყოს შეთანხმებული სამუშაოში ჩართული ყველა პირთან და დადასტურებული თანხმობის ფორმაზე ხელმოწერით. სუპერვიზიის, სწავლებისა და კვლევის ყველა მონაწილემ უნდა იცოდეს, როგორ და სად გამოიყენება ჩაწერილი მასალა და მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს გააუქმონ საკუთარი თანხმობა. ჩაწერილი მასალები უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ თანხმობის ფორმაში მითითებული მიზნებისთვის.

1.4.2 პუბლიკაციებში კლიენტების ინფორმაციის გამოყენება

თუ პფთ-ს პრაქტიკოსები თავიანთ სამეცნიერო და ჟურნალისტურ საქმიანობაში აპირებენ კლიენტის ქეისის შესახებ ინფორმაციის გამოყენებას, მათ უნდა შეცვალონ ქეისი რთულად საცნობ ვერსიამდე - სახელი, პროფესია, ასაკი, ცხოვრებისეული გარემოებები, გარეგნობის სპეციფიკა, მეტყველება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.

საჭიროა, რომ პფთ-ს პრაქტიკოსებმა სთხოვონ კლიენტს ნებართვა მათი ქეისის გამოსაყენებლად (ანონიმურობასთან ერთად). ამასთან ერთად, კლიენტს უნდა მიეცეს ყველანაირი შესაძლებლობა, უარი თქვას მისი ქეისის ანონიმურ გამოყენებაზე. **(ინფორმირებული თანხმობა)**

1.4.3 ინფორმაცია კლიენტის შესახებ სასამართლოში

თუ პფთ-ს პრაქტიკოსებს სთხოვენ სასამართლოში გამოცხადებას, ისინი ექვემდებარებიან სასამართლოში



ჩვენების მიცემის შესახებ ეროვნულ კანონმდებლობას. თუ შესაძლებელია, კლიენტს უნდა მოეთხოვოს კონფიდენციალურობისგან გათავისუფლება.

1.4.4 კლიენტის ინფორმაცია კლიენტის გარდაცვალების შემდეგ

პფთ-ს პრაქტიკოსები ინარჩუნებენ კონფიდენციალობას კლიენტის გარდაცვალების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, რაც მითითებულია ინფორმირებული თანხმობაში ან როცა არსებობს მოთხოვნა ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მიერ. გთხოვთ, შეამოწმოთ ადგილობრივი რეგულაციები.

1.5 საგანგებო და სუიციდის შემთხვევაში

პფთ-ს პრაქტიკოსებს უნდა ჰქონდეთ გადაუდებელი დახმარების სერვისების საკონტაქტო დეტალების სია იმ შემთხვევაში, თუ მათ დასჭირდებათ კლიენტის გადაგზავნა. ასევე რეკომენდირებულია, რომ პფთ-ს პრაქტიკოსებს გადაუდებელ შემთხვევაში ჰქონდეთ მინიმუმ ერთი კონტაქტი კლიენტის ისეთ ახლობელთან, როგორც კლიენტის პარტნიორი ან ოჯახის წევრია. გარდა ამისა, სასარგებლოა, რომ კლიენტებისგან მოთხოვნილ იქნას კლიენტის საცხოვრებელი ქალაქის ფსიქიატრის, ფსიქიატრიული საავადმყოფოსა ან ზოგადი სამედიცინო გადაუდებელი სამსახურის მისამართი, რაც უზრუნველყოფს ველოფს ადნიშნული კონტაქტების დაუყოვნებლივ დამყარების შესაძლებლობას საგანგებო სიტუაციაში.

1.6. პროფესიული დაზღვევა (ზარალის ანაზღაურება)

შესაძლებლობის ფარგლებში, პფთ-პრაქტიკოსები უნდა ფლობდნენ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას, რომელიც მოიცავს მათ საქმიანობას, როგორც კონსულტანტების, ფსიქოთერაპევტების, ან ტრენერების საქმიანობის სფეროს.

2. შეფასების ტექნიკა

ფსიქოთერაპიული ან ფსიქოლოგიური შეფასების ტექნიკის შემუშავების, გამოქვეყნებისა და გამოყენებისას, პფთ-ს პრაქტიკოსები ყოველ ღონეს ხმარობენ კლიენტის კეთილდღეობისა

და საუკეთესო ინტერესების დასაცავად. ისინი არ უშვებენ შეფასების შედეგების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ისინი პატივს სცემენ კლიენტის უფლებას იცოდეს შედეგები, გაკეთებული ინტერპრეტაციები და მათი დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველი. პფთ-ს პრაქტიკოსები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა სამართლებრივი მოთხოვნების ფარგლებში უზრუნველყონ ტესტებისა და შეფასების სხვადასხვა ტექნიკების უსაფრთხოება. ისინი ცდილობენ უზრუნველყონ შეფასების ტექნიკის სათანადო გამოყენება სხვათა მიერ.

2.1 შეფასების მეთოდი

შეფასების მეთოდის გამოყენებისას, პფთ-ს პრაქტიკოსები პატივს სცემენ კლიენტთა უფლებას, ჰქონდეთ მეთოდის ხასიათისა და მიზნის სრული ცოდნა მათთვის სასურველ ენაზე, თუ წინასწარ არ იყო შეთანხმებული სხვა რამ. იმ შემთხვევაში, თუ განმარტებები წარმოდგენილ უნდა იქნას სხვა პირთა მიერ, პფთ-ს პრაქტიკოსები განმარტებათა ადეკვატურობის მიზნით ადგენენ შესაბამის პროცედურებს.

2.2 პასუხისმგებლობა ტესტების გამოყენებისას

პფთ-ს პრაქტიკოსები პასუხისმგებელნი არიან ფსიქოლოგიური ტესტებისა და შეფასების სხვა მეთოდების შემუშავებასა და სტანდარტიზაციაზე დადგენილი სამეცნიერო პროცედურების გამოყენებითა და შესაბამისი საერთაშორისო, ეროვნული და ინსტიტუციური ან ორგანიზაციული სტანდარტების დაცვით.

2.3 ანგარიშგების შეფასების შედეგები

შეფასების შედეგების მოხსენებისას, პფთ-ს პრაქტიკოსები მიუთითებენ ნებისმიერ დათქმაზე, რომელიც არსებობს ვალიდურობასთან ან სანდოობასთან დაკავშირებით, შეფასების გარემოებების ან ტესტირებადი პირისთვის ნორმების შეუსაბამობის გამო. პფთ-ს პრაქტიკოსები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ შეფასების შედეგები და მათი ინტერპრეტაციები არ იქნას გამოყენებული სხვების მიერ არასწორად.

2.4 შეფასების შედეგების შესაბამისობა

პფთ-ს პრაქტიკოსები აღიარებენ, რომ შეფასების შედეგები შეიძლება გახდეს შეუსაბამო და არ წარმოადგენდეს შეფასებულის სრულ სურათს. ისინი ყველა ღონეს ხმარობენ, რათა თავიდან აიცილონ და თავიდან აიცილონ არარელევანტური ზომების ან არასრული შეფასებების ბოროტად გამოყენება.

2.5 ფსიქოლოგიური შეფასებების არასწორად გამოყენება

პფთ-ს პრაქტიკოსები არ ახალისებენ ან ხელს არ უწყობენ ფსიქოთერაპიული ან ფსიქოლოგიური შეფასების ტექნიკის გამოყენებას არასათანადოდ გაწვრთნილი ან სხვაგვარად არაკვალიფიციური პირების მიერ სწავლების, სპონსორობის ან სუპერვიზიის მეშვეობით.

3. თერაპიული ურთიერთობა

ამ თავში განხილულია თერაპიული ურთიერთობის საზღვრები და მისი შექმნის, შენარჩუნებისა და შეცვლის პირობები. აღწერილია კლიენტებთან ურთიერთობის აკრძალული ტიპები. განხილულია კლიენტის ექსპლუატაციის კონცეფცია და თერაპიის გადახდის, ასევე მისი დასრულების ეთიკური საკითხები. 1.1.4 პუნქტში ხაზგასმულია ტრანსკულტურალური კომპეტენციის განვითარების აუცილებლობა კლიენტებთან პროდუქტიული თერაპიული ურთიერთობების დასამყარებლად.

3.1 თერაპიული ურთიერთობაში საზღვრების დადგენა და შენარჩუნება

პფთ-ს პრაქტიკოსები პასუხისმგებელნი არიან პროფესიონალური საზღვრების ჩამოყალიბებაზე და კლიენტებთან თერაპიული ურთიერთობის ჩარჩოს შენარჩუნებაზე. პროფესიული საზღვრები ეხება თვითგახსნას, სესიების ხანგრძლივობასა და ადგილმდებარეობას, ფიზიკურ შეხებას, საჩუქრებს, ბარტერს, აქტივობებს საკონსულტაციო ოთახის გარეთ, შემთხვევით შეხვედრებს, სოციალურ და სხვა არათერაპიულ კონტაქტებს, სოციალურ ქსელებსა და მრავალჯერადი ურთიერთობის სხვა ფორმებს.



პროფესიული ურთიერთობის საზღვრები აისახება ინფორმირებულ თანხმობაში.

3.2 თერაპიულ ურთიერთობაში საზღვრების შეცვლის პირობები

პროფესიული ურთიერთობების საზღვრები ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და ფსიქოთერაპიაში დაკავშირებულია ფსიქოთერაპიის იმ მეთოდთან, რომლითაც პროფესიონალი პრაქტიკას ახორციელებს. თუ საჭიროა პროფესიული ურთიერთობების საზღვრების გაფართოება, პფთ-ს პრაქტიკოსები ავასებენ და იღებენ პასუხისმგებლობას თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში წარმოქმნილ რისკებზე.

3.3 კლიენტის ექსპლუატაცია - საზღვრები კლიენტებთან ურთიერთობაში

პფთ-ს პრაქტიკოსები თავს არიდებენ კლიენტების ექსპლუატაციას. პფთ-ს პრაქტიკოსები აცნობიერებენ თავიანთ გავლენიან პოზიციას კლიენტებთან (ძალაუფლების დისბალანსი) და თავს არიდებენ კლიენტების ნდობისა და დამოკიდებულების გამოყენებას ნებისმიერ სფეროში: სამინაო, ეკონომიკური, ინფორმაციული, ემოციური, სექსუალური და ა.შ.

3.4 მრავალჯერადი ურთიერთობა

მრავალჯერადი ურთიერთობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც პფთ-ს პრაქტიკოსებს, კლიენტთან პროფესიული ურთიერთობისას, ასევე აქვთ სხვა ურთიერთობა კლიენტთან ან კლიენტის უშუალო გარემოსთან. ეს ურთიერთობები შეიძლება იყოს ოჯახური, სოციალური, ფინანსური, საქმიანი (მათ შორის ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება სწავლებისა და სუპერვიზიის დროს), სტუდენტური ან ახლო პირადი ურთიერთობები. მრავალჯერადი ურთიერთობა არის ის, რაც ხდება ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ფსიქოთერაპიის წინ, ფსიქოთერაპიის დროს და ფსიქოთერაპიის შემდეგ. პფთ-ს პრაქტიკოსები თავს იკავებენ მრავალჯერადი ურთიერთობისგან, რათა კლიენტი ექსპლუატაციისა და ზიანის რისკის ქვეშ არ მოაქციონ და თავიდან აიცილონ უარყოფითი შედეგები თერაპიულ პროცესზე. იმ შემთხვევებში, როდესაც მრავალჯერადი ურთიერთობის

თავიდან აცილება შეუძლებელია, პფთ-ს პრაქტიკოსები მკაფიოდ უხსნიან კლიენტს მრავალჯერადი ურთიერთობის ნიუანსებს და ადგენენ პროფესიულ საზღვრებს. თუ გაუთვალისწინებელმა ფაქტორებმა შექმნეს პოტენციურად სახიფათო მრავალჯერადი ურთიერთობა, პფთ-ს პრაქტიკოსები იღებენ გონივრულ ზომებს მის მოსაგვარებლად ისე, რომ გაითვალისწინოს დაზარალებული პირის ინტერესები და პატივი სცეს ეთიკურ რეკომენდაციებს.

3.5 კლიენტთან ურთიერთობის აკრძალული ტიპები

პფთ-ს პრაქტიკოსები ინარჩუნებენ ინფორმირებულობის მაღალ დონეს იმ ზიანის შესახებ, რომელიც შეიძლება განიცადოს კლიენტმა პფთ-ს პრაქტიკოსებთან სექსუალური, რომანტიული, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობებით. კლიენტთან სექსუალური, რომანტიული, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა შესაძლებელია თერაპიის დასრულებიდან არა უადრეს ორი წლისა. პფთ-ს პრაქტიკოსები და კლიენტი უნდა დარწმუნდნენ, რომ თერაპიული ურთიერთობა დასრულებულია და მომავალში აღარ განმეორდება. პფთ-ს პრაქტიკოსები არ წყვეტენ თერაპიას კლიენტთან სექსუალური ურთიერთობის დასამყარებლად. აკრძალულია თერაპია ყოფილ სექსუალურ და რომანტიკულ პარტნიორებთან.

3.6 თერაპიის გადახდა

პფთ-ს პრაქტიკოსები ცდილობენ იყვნენ პატიოსნები, მკაფიო და კლიენტს მიაწოდონ სრული ინფორმაცია გადახდის საკითხებთან დაკავშირებით წინასწარ, რაც სასურველია წერილობითი ფორმით.

3.6.1 მომსახურების ფასის დადგენა

მომსახურების ფასების დადგენისას, პფთ-ს პრაქტიკოსებს შეუძლიათ დაადგინონ მცოცავი შკალა ან ყველა კლიენტისთვის გამოიყენონ ერთი საფასური.

3.6.2 უსახსრო კლიენტები

ეს არის პფთ-ს პრაქტიკოსების ეთიკური უფლება, დაეხმარონ უსახსრო ან შემცირებული ტარიფის კლიენტებს, რომლებსაც არ შეუძლიათ თერაპიის სრულად გადახდა. ასეთი კლიენტების პროცენტს განსაზღვრავს თავად პფთ-ს პრაქტიკოსები.

3.6.3 ბარტერული ურთიერთობები

პფთ-ს პრაქტიკოსები ნაგულისხმევად თავს იკავებენ კლიენტებთან ურთიერთობისგან, რადგან ასეთი გადახდა ქმნის კონფლიქტის, ექსპლუატაციისა და თერაპიული ურთიერთობის დამახინჯების პოტენციალს.

3.6.4 პფთ-ს პრაქტიკოსების მომსახურების გადაუხდელობა.

ინფორმირებული თანხმობის ხელმოწერისას, პფთ-ს პრაქტიკოსები მკაფიოდ განსაზღვრავენ მომსახურების გადახდის პროცედურას. ფასი და გამოტოვებული სესიების გადახდა მითითებულია ინფორმირებულ თანხმობაში. თუ კლიენტი უარს იტყვის პფთ-ს პრაქტიკოსების მომსახურების გადახდაზე, პფთ-ს პრაქტიკოსებს უფლება აქვთ შეწყვიტონ თერაპია და გადაამისამართონ კლიენტი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კლიენტის ინფორმირება გადაუხდელობის შედეგების შესახებ. რთულ სიტუაციებში აუცილებელია ადვოკატის კონსულტაცია.

3.6.5 საჩუქრები

პფთ-ს პრაქტიკოსებმა არ უნდა წახალისონ საჩუქრები, მაგრამ შეუძლიათ მიიღონ ისინი კლიენტებისგან, თუ საჩუქრის მიღება არ წარმოადგენს კლიენტის ექსპლუატაციის რისკს ან ზიანს არ აყენებს თერაპიულ ურთიერთობას. პფთ-ს პრაქტიკოსებს ესმით კლიენტებისგან საჩუქრების მიღების რისკი. კლიენტთან ერთად, პფთ-ს პრაქტიკოსები იკვლევენ, კლიენტის მიერ გაცემული საჩუქრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კლიენტის შესაძლო გავლენას თერაპიულ ურთიერთობის მიმართ. არ არის რეკომენდებული იმ საჩუქრების მიღება, რომლებიც აღემატება სესიის ღირებულების 20%-ს.

თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს მცირე საჩუქრების მიტანის კულტურული ასპექტი და ზოგიერთ ქვეყანაში საჩუქრის მიღებაზე უარის



თქმა შესაძლოა თერაპიული ურთიერთობისთვის აღიქმებოდეს ნეგატიურად. ასეთ შემთხვევებში, პფთ-ს პრაქტიკოსებმა უნდა გამოიყენონ გონიერება, რათა განასხვავონ თავაზიანობის დატვირთვის მქონე საჩუქარი ფარული განზრახვის მქონე საჩუქრისაგან. ასეთ შემთხვევებში სუპერვიზია შესაძლოა სასარგებლო იყოს.

3.7 თერაპიის დასრულება

პფთ-ს პრაქტიკოსები ასრულებენ თერაპიას კლიენტთან ერთობლივად, როდესაც ცხადია, რომ კლიენტს დახმარება აღარ სჭირდება ან თერაპიის გაგრძელებით კლიენტს ზიანი მიაღებება. (მაგ. თერაპევტმა დაასრულა თავისი პრაქტიკა, ან კლიენტს სჭირდება უფრო სპეციალიზებული მხარდაჭერა) პფთ-ს პრაქტიკოსები ყველა დონეს ხმარობენ, რომ დაასრულონ თერაპია კლიენტისთვის მინიმალური რისკით, მათ შორის თერაპიის დამასრულებელი სპეციალური შეხვედრის ჩათვლით. პფთ-ს პრაქტიკოსებს შეუძლიათ შეწყვიტონ თერაპია, თუ ისინი კლიენტთან მიმართებაში თავს დაუცველად გრძობენ ან განიცდიან მუქარას კლიენტთან დაკავშირებული ადამიანების მხრიდან.

4. ურთიერთობა სხვა პროფესიონალებთან

ეს თავი ხაზს უსვამს, რომ საჭიროების შემთხვევაში, პფთ-ს პრაქტიკოსებმა უნდა ითანამშრომლონ მონათესავე სპეციალისტებთან, ფსიქოთერაპიის, ფსიქიატრიის, ფსიქოლოგიის, მედიცინის და სხვა პროფესიებთან, მათი კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. ისინი პატივს სცემენ იმ ინსტიტუტების ღირებულებებსა და მიზნებს, რომლებთანაც ეს კოლეგები არიან დაკავშირებულნი. პფთ-ს პრაქტიკოსები ცდილობენ კოლეგებთან შეინარჩუნონ პოზიტიური, პატივისცემის მქონე ურთიერთობები.

4.1 კომპეტენციის მუზღუდეები კოლეგებთან

პფთ-ს პრაქტიკოსებს ესმით მათთან დაკავშირებული პროფესიონალების კომპეტენციის სფერო და იყენებენ პროფესიონალურ, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ რესურსებს მონათესავე სპეციალისტებთან,

რომლებიც შეიძლება ემსახურობდეს კლიენტის ინტერესებს. პფთ-ს პრაქტიკოსები მონაწილეობენ კლიენტთან და მათ კეთილდღეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში, სხვა პროფესიული ჯგუფების პრაქტიკის გათვალისწინებითა და მათთან თანამშრომლობის მოძიებით.

4.2 ჰარალელური მუშაობა ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა სპეციალისტებთან

თუ კლიენტი ფსიქოლოგიურ/ფსიქო-თერაპიულ მომსახურებას პარალელურად სხვა სპეციალისტისგანაც იღებს, პფთ-ს პრაქტიკოსები ამას კონფიდენციალურობით ეპყრობიან. პფთ-ს პრაქტიკოსები კლიენტთან განიხილავენ რამდენიმე თერაპიული ურთიერთობის მნიშვნელობას, რათა მინიმუმამდე დაყვანილი იქნას რისკები და ინტერესთა კონფლიქტი და ცდილობენ მკაფიო და კოორდინირებული ურთიერთობები შეინარჩუნონ სხვა სპეციალისტებთან. პფთ-ს პრაქტიკოსებს შეუძლიათ უარი თქვან კლიენტებზე, რომლებიც ჩართულნი არიან მრავალ იდენტურ თერაპიულ ურთიერთობებში. პფთ-ს პრაქტიკოსები რომელიმე კოლეგის ურთიერთობას კლიენტებთან გაუმართლებელი ან არასწორად შეფასებული კომენტარების გაკეთებით ძირს არ უთხრიან. ისინი კოლეგების მუშაობაზე კომენტარს აკეთებენ ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით.

4.3 ჩართული სპეციალისტების პასუხისმგებლობა

კოლეგების სათანამშრომლოდ არჩევისას, პფთ-ს პრაქტიკოსები ხელმძღვანელობენ საკუთარი კომპეტენციით, მომზადებით, გამოცდილებითა და საერთო ღირებულებებით.

4.4 კოლეგებთან ურთიერთობის გამოყენება

პფთ-ს პრაქტიკოსები არ იყენებენ თავიანთ პროფესიულ ურთიერთობებს და სტატუსს კოლეგებთან და ქვეშევრდომებთან ცალმხრივი სარგებლის მისაღწევად (მაგ. ეკონომიკური, სექსუალური, პირადი და ა.შ.). პფთ-ს პრაქტიკოსები ხელს არ უწყობენ და არ

მონაწილეობენ რაიმე სახის შევიწროებაში (მათ შორის სიტყვიერ, ფიზიკურ და სექსუალურ შევიწროებაში).

4.5 კოლეგებისთვის გაწეული საკონსულტაციო მომსახურება

არასასურველია თანამშრომლებისთვის ფსიქოლოგიური სერვისების მიწოდება, როდესაც არსებობს ალტერნატივა. იხილეთ პუნქტი 3.4 მრავალჯერადი ურთიერთობა.

4.6 ეთიკური დარღვევების შესახებ შეტყობინება

თუ პფთ-ს პრაქტიკოსი გაიგებს სხვა პროფესიონალის მხრიდან ეთიკურ გადაცდომის შესახებ, პირველ რიგში უნდა მივიდეს უშუალოდ ამ პროფესიონალთან არაფორმალურად და პირადად - და მიუთითონ მიუღებელ ქცევაზე რაც შეიძლება ფაქიზად და პატივისცემით. თუ სიტუაციის არაფორმალურად მოგვარება შეუძლებელია, პფთ-ს პრაქტიკოსები გადაცდომის შესახებ აცნობებენ შესაბამის ეროვნულ ინსტიტუტებსა და WAPP-ის სათაო ოფისს. ეროვნული ინსტიტუტის გადაწყვეტილების შემდეგ, WAPP ეთიკის კომიტეტი საჩივართან დაკავშირებით მიიღებს საკუთარ გადაწყვეტილებას.

4.7 ბუღინგის პრევენცია

პფთ-ს პრაქტიკოსები არ მონაწილეობენ კოლეგების დაშინებაში, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება პროფესიულ ღირებულებებს. კრიტიკა და კომენტარები უნდა ეხებოდეს სპეციალისტის ქმედებებსა და არა მათ პიროვნებას და უნდა იყოს გამომხატული პროფესიული დისკუსიის პატივისცემით. რეკომენდებულია საჯარო დისკუსიის თავის არიდება, მაგრამ კონფლიქტური სიტუაციების მოსაგვარებლად დასა-შვებია პროფესიული ინსტრუმენტების გამოყენება (სუპერვიზია, საექსპერტო შეფასება, ეთიკის კომიტეტში მიმართვა).



5. ონლაინ მუშაობა
(ფსიქოთერაპია, სწავლება, სუპერვიზია, თვითგახსნა, შეფასება, კვლევა)

ეს თავი განიხილავს პფთ-ს პრაქტიკოსების ეთიკურ რისკებსა და შეზღუდვებს ონლაინ მუშაობისას (სწავლება, სუპერვიზია, თვითგახსნა, შეფასება, კვლევა, რომელიც მიმდინარეობს ელექტრონული კომუნიკაციით: ინტერნეტით, ტელეფონით და ვიდეოკონფერენციით). პფთ-ს პრაქტიკოსებმა, რომლებიც ეწევიან ონლაინ მუშაობას, უნდა განავითარონ ცოდნა და უნარები ტექნიკურ, ეთიკურ და იურიდიულ მოსაზრებებთან დაკავშირებით. პფთ-ს პრაქტიკოსები იკვლევენ და აკონტროლებენ ონლაინ მუშაობის შესაძლებლობებს და ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რათა შეინარჩუნონ კლიენტის, სუპერვიზორის, სტაჟიორისა და მონაწილეთა კვლევის კონფიდენციალურობა.

5.1 ელექტრონული კონსულტაცია (ტელეფსიქოთერაპია)

პფთ-ს პრაქტიკოსები აცნობიერებენ, რომ ელექტრონულ კონსულტაციას სამუშაო თემასთან დაკავშირებით აქვს გარკვეული შეზღუდვები. ტექნოლოგიურად მხარდაჭერილი სერვისების მიწოდებისას, პფთ-ს პრაქტიკოსები გონივრულ ფარგლებში ადგენენ, რომ კლიენტებს გააჩნიათ აპლიკაციის გამოყენების ინტელექტუალური, ემოციური, ფიზიკური, და ენობრივი შესაძლებლობები და რომ აპლიკაცია სრულად შესაბამებია კლიენტის მოთხოვნილებას.

პფთ-ს პრაქტიკოსებმა იციან იმ ქვეყნისა და რეგიონის კანონმდებლობა, სადაც ისინი მუშაობენ და ცხოვრობენ ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით.

5.2 მომსახურების ეფექტურობა

თუ პფთ-ს პრაქტიკოსი ან კლიენტი მიიჩნევს, რომ ტექნოლოგიით მხარდაჭერილი სერვისები არაეფექტურია, პფთ-ს პრაქტიკოსები განიხილავენ სერვისების პირისპირ

მიწოდებას. თუ პფთ-ს პრაქტიკოსებს არ შეუძლიათ პირისპირ მომსახურების გაწევა, პფთ-ს პრაქტიკოსები უნდა იყვნენ კლიენტს შესაბამისი სერვისების იდენტიფიცირებაში.

5.3 შეზღუდვების აღიარება

პფთ-ს პრაქტიკოსები აცნობიერებენ კლიენტებს ტექნოლოგიის გამოყენებისას კონფიდენციალურობის თანდაყოლილი საზღვრების შესახებ. ისინი მოუწოდებენ კლიენტებს, იცოდნენ ავტორიზებული და/ან არავტორიზებული წვდომის შესახებ ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა გამოყენებით ტექნოლოგიით მხარდაჭერილ სერვისებში. პფთ-ს პრაქტიკოსები განიხილავენ განსხვავებებს პირისპირ და ელექტრონულ კომუნიკაციას შორის (არავტორიზებული და ვერბალური მინიშნებები) და როგორ შეიძლება ამან გავლენა მოახდინოს ონლაინ მუშაობაზე. პფთ-ს პრაქტიკოსები ასწავლიან კლიენტებს, თუ როგორ უნდა აიცადონ და მოაგვარონ პოტენციური გაუგებრობები, რომლებიც წარმოიქმნება ვიზუალური ნიშნებისა და ხმოვანი ინტონაციების ნაკლებობის გამო ელექტრონულ კომუნიკაციაში.

5.4 წვდომა

პფთ-ს პრაქტიკოსები აწვდიან ინფორმაციას კლიენტებს. შესაბამის აპლიკაციებზე გონივრული წვდომის შესახებ ტექნოლოგიით მხარდაჭერილი სერვისების მიწოდებისას.

5.5 ინფორმირებული თანხმობა ელექტრონულ კონსულტაციაზე

ორივე პფთ-ს პრაქტიკოსი და კლიენტი უნდა შეთანხმდნენ ელექტრონულ კონსულტაციაზე. თუ კლიენტი აირჩევს ელექტრონულ კონსულტაციას, პფთ-ს პრაქტიკოსებმა მაქსიმალურად უნდა გასცენ ინფორმირებულ თანხმობას ამ ტიპის სამუშაოსთვის დამახასიათებელი დამატებითი პუნქტების ჩათვლით (ონლაინ სამუშაოში ჩართვის რისკები და კონფიდენციალურობის დარღვევა, ტექნოლოგიის გამართაობის შესაძლებლობა და მომსახურების მიწოდების ალტერნატიული მეთოდები, დროის ზონის

განსხვავებები; კულტურული და/ან ენობრივი განსხვავებები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომსახურების მიწოდებაზე.

პრაქტიკოსს შეუძლია უარი თქვას ელექტრონულ კონსულტაციაზე, თუ თვლის, რომ პირისპირ სესიები აუცილებელია.

5.6 კლიენტების იდენტიფიკაცია ვირტუალურ სივრცეში

პფთ-ს პრაქტიკოსებს ურჩევენ მიიღონ ყველა სამართლებრივი ზომა ვირტუალურ სივრცეში კლიენტის ვინაობისა და ასაკის დასადგენად, რამდენადაც ეს უსაფრთხოა კლიენტისთვის (მაგალითად ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტის მეშვეობით), ეროვნული კანონმდებლობის ან წინამდებარე სახელმძღვანელოს მიხედვით.

იმ შემთხვევებში, როდესაც ვიზუალური იდენტიფიკაცია შეუძლებელია, დადასტურება შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კოდური სიტყვების, ციფრების, გრაფიკის ან სხვა არააღწერილი იდენტიფიკატორების გამოყენებით.

5.6.1. საგანგებო და თვითმკვლევლობის შემთხვევაში

პფთ-ს პრაქტიკოსებს უნდა ჰქონდეთ გადაუდებელი დახმარების სერვისების საკონტაქტო მონაცემების სია იმ შემთხვევაში, თუ მათ დასჭირდებათ კლიენტის გაგზავნა. ასევე რეკომენდირებულია, რომ მათ ექსტრემალურ სიტუაციაში ჰქონდეთ მინიმუმ ერთი გადაუდებელი კონტაქტის შესაძლებლობა კლიენტის პარტნიორთან ან ოჯახის წევრთან. გარდა ამისა, სასარგებლოა, რომ კლიენტისგან მოითხოვონ ფსიქიატრის, ფსიქიატრიული საავადმყოფოს ან ზოგადი სამედიცინო გადაუდებელი სამსახურის მისამართი მათ ქალაქში. რაც უზრუნველყოფს ამ კონტაქტების დაუყოვნებლივ დამყარებას საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში.

5.7 კლიენტის უფლებები

პფთ-ს პრაქტიკოსებმა, რომლებიც გვთავაზობენ ონლაინ სერვისებს და/ან ინახავენ პროფესიონალურ ვებსაიტს, კლიენტს უნდა მიაწოდონ შესაბამის სალიცენზიო და პროფესიონალურ



სერტიფიცირების ელექტრონული ბმულები, რათა დაიცვან მომხმარებლებისა და კლიენტების უფლებები და გადაწყვიტონ ეთიკური პრობლემები.

5.8 ელექტრონული ბმულები

პფთ-ს პრაქტიკოსები რეგულარულად ამოწმებენ, მოწოდებული ელექტრონული ბმულების მუშაობისა პროფესიონალური შესაბამისობის დონეს.

6. სოციალური პასუხისმგებლობა, ონლაინ ყოფნა და რეკლამა

